ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
ქუთაისის უნივერსიტეტისადმი
№50 § 1 30.07.2013 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე–2 მუხლის პირველი პუნქტის, მე–3 პუნქტის „ა"–„გ" ქვეპუნქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 22 ივლისის № 245 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისის უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის აღდგენა/გადაყვანის წესით უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველ პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2013 წლის 12 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით.
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:
   - განცხადება რექტორის სახელზე;
   - ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსის შეჩერების შემთხვევაში უნივერსიტეტის წინაშე არსებული დავალიანების გასწორების დამადასტურებელი საბუთი.
3. მობილობის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველმა პირმა ზემოთ აღნიშნულ ვადაში ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიაროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე და აგრეთვე წარმოადგინოს განცხადება და პირადი საქმის ასლი უნივერსიტეტის კანცელარიაში.
4. მობილობის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველმა იმ პირებმა, რომელთაც მოიპოვეს აღნიშნული უფლება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან, 2013 წლის 2 სექტემბრიდან 6 სექტემბრამდე ქუთაისის უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ:
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - მშობლიურ უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
   - მშობლიურ უნივერსიტეტში სტატუს შეწყვეტილმა ან შეჩერებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ბრძანების დამოწმებული ასლი სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ;
   - ინფორმაცია სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსებისა და მიღებული შეფასებების შესახებ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც სწავლობს/სწავლობდა სტუდენტი (ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული ნიშნების ფურცელი)
   - იმ საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, რის საფუძველზეც ჩაირიცხა მშობლიურ უნივერსიტეტში
   - მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებმა)

– პროგრამების შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაძლოა უნივერსიტეტმა გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

5. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატუსით უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტები რეგისტრაციისათვის დამატებით წარმოადგენენ ჩარიცხვის მომენტისათვის მოქალაქეობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის ასლს;
6. 2003 წლის სექტემბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე ყველა გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად და უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
7. განაცხადების და საბუთების მიღება იწარმოებს 2013 წლის 2 სექტემბრიდან 6 სექტემბრის ჩათვლით შაბათ–კვირის გარდა ქუთაისის უნივერსიტეტში დილის 10-დან საღამოს 16 საათამდე (მის: ქუთაისი, წერეთლის ქ. #13) საკონტაქტო პირი თინათინ მეფარიშვილი, 1 სართული, 514 70 44 07
8. მობილობის მსურველი პირი ვალდებულია პირადად გამოცხადდეს ქუთაისის უნივერსიტეტის კანცელარიაში და წარმოადგინოს ამ ბრძანებით განსაზღვრული საბუთები.
9. დაევალოს ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს მობილობის/აღდგენის სურვილის მქონე სტუდენტების მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან თავსებადობის შესახებ მოტივირებული დასკვნების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე და მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება არაუგვიანეს 15 სექტემბრისა.
10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი: ლ. ქელბაქიანი